ნორმა – 4 გოლი

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 9 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ტორპედო” (მოსკოვი) 4:2 (2:2).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი (ყიფიანი), მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

“ტორპედო”: რაკიტსკი, ტუკმანოვი, პახომოვი, ბუტურლაკინი, იურინი, კრასნოვი, ფეტისოვი, ნიკონოვი, სოლოვიოვი (აბრამოვი), დეგტიარიოვი, სმირნოვი.

მსაჯი: ვ. ტოლჩინსკი (ალმა–ათა).

რამდენადაც მახსოვს, თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ტორპედოს” შეხვედრები მუდამ გამოირჩეოდა საგანგებო დაძაბულობით, მწვავე ბრძოლით და სილამაზით. ასე იყო, როცა მოსკოველთა განთქმულ გუნდში გამოდიოდნენ პონომარიოვი, გომესი, აკიმოვი და სხვა დიდოსტატები. მერე ეს ესტაფეტა მიიღეს ივანოვმა, სტრელცოვმა, ვორონინმა და მათმა პარტნიორებმა. ჩემპიონატის ან თასის ყველა მატჩს, მოსკოვში იქნებოდა თუ თბილისში, სულ ერთია, მუდამ განსაკუთრებული, სპეციფიკური ელფერი ჰქონდა, სწორედ ისეთი, მაყურებელს რომ უყვარს.

მე ვფიქრობ, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ორივე გუნდი თავიდანვე მიმდევარი იყო ტექნიკური, შემტევი, კორექტული ფეხბურთისა, სადაც ძალისმიერ, მხოლოდ ქულების მოპოვებისკენ მიმართულ თამაშს ყოველთვის სძლევდა მაღალი კლასის ოსტატის ნამდვილი “საფეხბურთო თავმოყვარეობა” და ესთეტიკური, სანახაობრივი მხარე.

ახლა “ტორპედოს” აღარც პონომარიოვი ჰყავს, აღარც სტრელცოვი და ივანოვი. ამ მასშტაბის ბრწყინვალე მოთამაშეთა ადგილი გუნდში ახალგაზრდებმა დაიკავეს. ბევრი მათგანი, უდავოდ, ნიჭიერი და პერსპექტიულია, მაგრამ წმინდა სპორტული კლასიფიკაციით საგრძნობლად ჩამოუვარდება განთქმულ, სახელმოხვეჭილ წინამორბედებს. “ტორპედო” აღარაა ვარსკვლავთა გუნდი და ეს მის საერთო შედეგებსაც თვალნათლივ ეტყობა. რაოდენ საყურადღებოა თუნდაც ის ფაქტი, რომ გუნდს, როგორც მითხრეს, 28 ივლისის მერე არც ერთი მატჩი არ მოუგია და, საერთოდ, მეორე წრეში მხოლოდ ერთი, ერთადერთი გამარჯვება აქვს მოპოვებული. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ იგი აუტსაიდერთა შორისაა – ბოლოდან მეოთხე ადგილზე.

მაგრამ ტრადიცია ტრადიციაა და ტორპედოელებმა, თუმცა მორიგი წაგება ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში, თბილისში კვლავ თავგამოდებით, მთელი ძალით ითამაშეს. მატჩი საინტერესო და დაძაბული გამოდგა.

თამაში დაიწყო ორმხრივი იერიშებით, მაღალი ტემპით. ჯერ თბილისელებმა შეუტიეს რამდენიმეჯერ, სწრაფად გაითამაშეს კომბინაციები ფლანგებზე. ამას ტორპედოელებმა კონტრიერიშებით უპასუხეს და აქ გამოირკვა, რომ “დინამოს” მცველები რატომღაც უყურადღებოდ, ნაჩქარევად მოქმედებდნენ, არ იცავდნენ ურთიერთდაზღვევის აუცილებელ წესს. მათი ელემენტარული შეცდომის შედეგი იყო სტუმრების წარმატება მე–13 წუთზე: კანთელაძემ, რომელიც ურიგოდ არ თამაშობს ბოლო ხანებში, ბურთი ჩააბარა სმირნოვს. ამ უკანასკნელმა ისარგებლა ამით და თითქმის პირითი ხაზიდან დაარტყა კარში. გოგიამ ვერ შეძლო ხიფათის მოგერიება…

დინამოელებმა მაშინვე გადაიტანეს თამაში მოპირდაპირე მხარეს და “ტორპედოს” კართან შექმნეს რამდენიმე კრიტიკული მომენტი, რომელთაგან ერთ–ერთი, 22–ე წუთზე, საპასუხო გოლით დაამთავრეს. ძოძუაშვილმა ფლანგიდან მიაწოდა საჯარიმო, მაჩაიძის დარტყმა მოიგერია რაკიტსკიმ,, მაგრამ ბურთს მიუსწრო გ. ნოდიამ და ანგარიში გაქვითა.

ამის შემდეგ საერთო ტერიტორიული უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ, მაგრამ საკმარისი იყო “ტორპედო” კონტრშეტევაზე გადასულიყო, რომ მასპინძელთა კართან მაშინვე იქმნებოდა სახიფათო სიტუაცია. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, უნდა ვეძიოთ იმაში, რომ დინამოელთა მცველები ვერ ერკვეოდნენ მოსკოველ თავდამსხმელთა მანევრში, მათს მიერ ადგილების განუწყვეტელ ცვლაში. ასე მოხდა 34–ე წუთზე: მცველებმა უყურადღებოდ დატოვეს ნიკონოვის უბურთო რეიდი, მან კი კარგად შეარჩია ადგილი, მიიღო ბურთი და ზედ კარის წინ გადასცა სრულიად ღიად დარჩენილ ფეტისოვს – 2:1. ეს გოლიც დაცვის შეცდომის შემდეგ გავიდა. ამასთან, ისიც უნდა თქვას, რომ გოგიას მანამდე ორჯერ მოუხდა ძალიან ძნელი ბურთების აღება.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ტორპედოელები თავგანწირვით იბრძოდნენ წარმატების შესანარჩუნებლად. ხშირად მთელი გუნდით იცავდნენ თავს, მაგრამ 39–ე წუთზე იძულებული შეიქნენ ისევ დაიწყოთ ცენტრიდან თამაში. მეორე საპასუხო ბურთი ბრწყინვალე დარტყმით გაიტანა მაჩაიძემ კარის შორეულ კუთხეში ასათიანის გადაცემის შემდეგ.

შესვენების შემდეგ მოსკოველები ისევ აქტიურად, ენერგიულად იბრძოდნენ და არსებითად შუა მინდორშივე ახერხებდნენ მეტოქის იერიშების ჩაშლას. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთფეროვნად, ტრაფარეტულად მოქმედებდა “დინამოს” თავდასხმა, განსაკუთრებით გუცაევი. იგი ერთი და იგივე ხერხით ცდილობდა გასულიყო “ტორპედოს” კართან, ამას გარდა, სისტემატურად ხვდებოდა თამაშგარე მდგომარეობაში, თუმცა, როგორც წინა ხაზის მოთამაშე, გარემარბი, ვალდებული იყო ყურადღებით ედევნებინა თვალი მოწინააღმდეგე მცველების განლაგებისთვის და არ ჩაეშალა რამდენიმე კარგად გათამაშებული კომბინაცია იმის გამო, რომ მისი მცველი დროით ასწრებდა თამაშგარე მდგომარეობის შექმნას.

თამაში ძალიან გართულდა, დრო კი სულ უფრო ნაკლები რჩებოდა. ამ კრიტიკულ ვითარებაში დინამოელთა რიგებში ცვლილება მოხდა (ვფიქრობ, ეს ადრევე იყო საჭირო): მინდორზე გამოვიდა ყიფიანი და მისი პირველივე ჩარევა სათამაშო ეპიზოდში დამთავრდა შესანიშნავად, გატანილი გოლით, რომელმაც ფაქტიურად იხსნა ეს ძნელი მატჩი. 77–ე წუთზე ყიფიანმა მინდვრის სიღრმიდან მიიღო ბურთი, გაითამაშა იგი გ. ნოდიასთან და შორიდან ზუსტად, ძლიერად დაარტყა მარცხენა დაბალ კუთხეში – 3:2.

ამ გოლმა გარკვეული დამაჯერებლობა შეიტანა დინამოელთა თამაშში. მატჩის დასასრული მათ განუწყვეტელ იერიშებში ჩაატარეს, ერთ–ერთი ასეთი იერიშისას, 87–ე წუთზე, მარცხენა მხრიდან ერთდროულად გავიდნენ ყიფიანი და ლ. ნოდია. ბურთი გადაეცა გ. ნოდიას და ცენტრფორვარდმა ახლოდან დააგვირგვინა “დინამოს” გამარჯვება. თბილისის “ლოკომოტივის” სტადიონზე ნორმად ქცეული ციფრი “4” – შესრულდა.

გ. ანთაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

“ლელო”, 11 ოქტომბერი, 1973 წ.